ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №46117

ნომერი: AR110600

თარიღი : 25.01.2012

გაცემის თარიღი : 09.02.2012

გაცნობის თარიღი : 09.02.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის I კვ.კორპ.N3-ის მიმდ. / ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი I , კორპ N3-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბოკუჩავა პ/ნ 01017027978
- თბილისი შიო მღვიმელის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.03.06 წლის #ა–420 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 25/01/2012 წელს AR110600 განცხადებით მომართა გიორგი ბოკუჩავამ და მოითხოვა 06.03.06 წლის ქალაქ თილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ა–420 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ახალი საკადასტრო გეგმის დამატება და მიწის ნაკვეთის ფართის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2006 წლის 6 მარტს ქალაქ თილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქალაქ თბილისში, ისანი–სამგორის რაიონში, ვაზისუბნის პირველ კვარტალში მრავალფუნქციური ცენტრის ასაშენებლად დადგინდა #ა–420 ქალაქთმშენებლობითი პირობები. ამავე მისამართზე 10.12.09 წელს #ნ/112 ბრძანებით გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა და ნ/112–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა ორ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: 1/17/7/5/3; 1/17//7/5/1). საპროექტო მიწის ნაკვეთის ჯამურმა ფართობმა შეადგენდა 1983 კვ .მ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 19.12.11 წლის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია #882011605112, საკადასტრო კოდი: 01/17/07/005/006) თანახმად საპროექტო ტერიტორიის ფართობი გაიზარდა და შეადგინა 2254 კვ.მ.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 06.03.06 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ა–420 ქალაქთმშენებლობითი პირობები გაცემულია „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის თანახმადაც არქიტექტურული ობიექტის შესაქმნელად დამკვეთს უნდა ჰქონდეს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების საფუძველზე შედგენილი პროექტი და მშენებლობის ნებართვა. ამასთანავე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური ლიკვიდირებულია ხოლო, „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მიენიჭა უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემულ აქტებში.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება ქალაქ თილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, არქიტექტურული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონისა და „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების თანახმად

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გიორგი ბოკუჩავას 25/01/2012 წ. AR110600 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.03.06 წლის #ა–420 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდეს – 2254 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდი – 01/17/07/005/006;
3. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.03.06 წლის #ა–420 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს #01/17/07/005/006 საკადასტრო ერთეულზე საკადასტრო გეგმა

(მომზადების თარიღი:29.11.11 წელი, განცხადების რეგისტრაცია #882011555943);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 06.03.06 წლის #ა–420 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.